

სამაგისტრო პროექტი: ოჯახის ექიმთან მიმართვიანობა კერძო
სადაზღვევო კომპანიებში

სალომე კვინიკაძე
ნათია სალთხუციშვილი
ეთერ გორდუზიანი

ჯგუფი # 7

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები ,ვაცხადებთ ,რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მსალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: ეთერ გორდეზიანი

სალომე კვინიკაძე

ნათია სალთხუციშვილი

თარიღი: 2019 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: პირველადი ჯანდაცვა წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის საძირკველს. ოჯახის ექიმი განიხილება როგორც ჯანდაცვის სისტემის მეკარიბჭე, რადგან იგი ახორციელებს დაავადების პირველად შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პაციენტის მიმართვას ექიმ-სპეციალისტებთან. კვლევის მიზანია ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის როლის შესწავლა ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის თვალსაზრისით.

მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა კერძო სადაზღვევო კომპანიაში 203 ნებაყოფლობითი ჯანმრთელობით დაზღვეულის და 10 ოჯახის ექიმის გამოკითხვა.

შედეგები: კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახის ექიმის „მეკარიბჭეობის“ როლის წარმატებით შესრულებაში შემდეგი პრობლემები იკვეთება: დაზღვეულთა ნაკლები ინფორმირებულობა ოჯახის ექიმთა კომპეტენციების შესახებ, მოცდის რიგების მოუწესრიგებლობა, მომსახურების ხარისხით უკმაყოფილება, ოჯახის ექიმთა მიერ გაწეული შრომის დაბალი ანაზღაურება, მათი პროფესიული განვითარებისთვის დაბალი ხელშეწყობა.

რეკომენდაციები: მიზანშეწონილია დაზღვეულთა ინფორმირებულობის გაუმჯობესება ოჯახის ექიმის კომპეტენციის მთავარი ასპექტების და პაციენტების ჯანმრთელობის გაუმჯობესების საკითხში ოჯახის ექიმთა მნიშვნელოვანი როლის შესახებ, დაზღვეულთათვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების შესახებ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის ექიმთან დაზღვეულთა პროფილაქტიკურ მიმართვებს. ოჯახის ექიმთა

პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში უწყვეტი სამედიცინო განათლების განვითარების ხელშეწყობა, ოჯახის ექიმთა ანაზღაურების გაზრდა.

ძირითდი საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა, მიმართვიანობა, მეკარიბჭეობა, ოჯახის ექიმი.

Abstract

Introduction: Primary health care is the foundation of the health care system. The family doctor is considered as a health care system's main gate, as she/he implements the initial assessment of the disease and in the case of necessity he/she provides patients' contact with the specialists. The research aims to study the role of private insurance in terms of addressing family doctor.

Methodology: Within the scope of quantitative research, in a private insurance company implemented questioning . 203 voluntary health insured and 10 family doctors were interviewed.

Results: The study showed that after successful implementation of family doctor's role as a „main gates”, there are identified the following problems: lack of informing of insured about family doctors' competencies, a disorder of the waiting queue, dissatisfaction of service quality, low salary for family doctors, low support for their professional development.

Recommendations: It is advisable to improve the awareness of the insured on the main aspects of family doctor's competence and about the importance of family doctors in improving the health of patients, preventive measures on actual issues related to the health of the insured, which will facilitate preventive addressing with family doctors. Promote continuous medical education in the country to improve the professional skills of family doctors, raise the salary of family doctors.

Key words: primary healthcare, addressing, main gating, family doctor.

მადლობა

ჩვენი ჯგუფის სახელით, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, პროფესორ თენგიზ ვერულავას, რომელმაც დახმარება გაგვიწია ყველა ჩვენთვის საჭირო საკითხში, აგრეთვე ჩვენს მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე გაგვცა ამომწურავი პასუხი.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრის თანამშრომლებს, მაგდა ასათიანს და ნინო გალდავამეს, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს ჩვენი ნაშრომის ტექნიკური მხარეების მოგვარებაში.

აგრეთვე გვინდა მადლობა მოვუხადოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში.